



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 169/ს
13/04/2023

169-21-4-202304131436



სიღნაღის მუნიციპალიტეტში, შპს „სიბიჯორჯიას“ სამელიორაციო სისტემისა და 49000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „სიბიჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404585169) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 27 სექტემბერს (წერილი N27056) წარმოდგენილ იქნა სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო მაჩხაანში 49 000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N390/ს; 06/10/2022) შექმნა, სააგენტომ ასევე უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება, წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „აგრო სოლუშენს“-ის მიერ.

შპს „სიბიჯორჯიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო სამელიორაციო სისტემისა და 49000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება, რაზეც 2021 წლის 4 ივნისს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-818) და დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2021 წლის 5 აგვისტოს, შპს „სიბიჯორჯიას“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სამელიორაციო სისტემისა და 49000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ, სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N2-1495 22/10/2021, სკოპინგის დასკვნა №50 04/10/2021).

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ, სააგენტოს 2022 წლის 20 სექტემბრის №21/5432 წერილის საფუძველზე, 2022 წლის 6 ოქტომბერს, განხორციელდა შპს „სიბიჯორჯიას“ სამელიორაციო სისტემის და 49000 მ³

მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის საპროექტო ტერიტორიის შესწავლა-დათვალიერება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ შპს „სიბიჯორჯია“ ახორციელებდა სამელიორაციო სისტემის და 49000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის ექსპლუატაციას შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე. 2022 წლის 12 ოქტომბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №072272 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაიგზავნა სასამართლოში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილები N21/7881; N21/1544), შპს „სიბიჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია: შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ დადებული განახლებული ხელშეკრულება და წყალაღების შესახებ კორექტირებული ინფორმაცია. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებული საზოგადოებისათვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა (წერილები N1233; N2117).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „სიბიჯორჯიას“ მიერ, 2021 წელს მის საკუთრებაში არსებულ 103 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 56.20.45.001) გაშენდა თხილის ბაღი, რის გამოც კომპანიამ მოაწყო რეზერვუარი (49 000მ³), საიდანაც წვეთოვანი სარწყავი სისტემის საშუალებით განხორციელდა მცენარეებისთვის წყლის მიწოდება. მორწყვისთვის წყლის აღება მოხდა შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან (53.00.507) შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-601059.1; Y-4596965.1; აღნიშნული არხი მდებარეობს შპს „სიბიჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 15-20 მეტრში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო მაჩხაანში, კომპანია ასევე ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს (საკადასტრო კოდები: 56.20.47.004 / 56.20.47.003 / 56.20.47.005 / 56.20.45.001 / 56.20.43.002 / 56.20.42.002), სადაც ბაღის გაშენება დაგეგმილი აქვს ეტაპობრივად, მომდევნო წლების განმავლობაში. დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 10 ადამიანი.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია არაქმედების და რეზერვუარის განთავსებისთვის საჭირო ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტები. რეზერვუარის მშენებლობისთვის განიხილებოდა ორი ალტერნატიული ვარიანტი, რომელთა შორის, სამელიორაციო არხიდან დაშორების მანძილის გათვალისწინებით შეირჩა ტერიტორიის პირველი ალტერნატივა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ტერიტორია თავისუფალი იყო ხე-მცენარეებისაგან და არ გამოირჩეოდა მცენარეული საფარის მრავალფეროვნებით, რეზერვუარის ტერიტორიაზე არ არის მოქცეული რაიმე სენსიტიური ჰაბიტატი ან საქართველოს წითელი ნუსხით დაცული რომელიმე სახეობა. ასევე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 9.5 კმ მანძილით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 49000 მ³ მოცულობის რეზერვუარი მოეწყო 103 ჰექტარი მიწის ნაკვეთის (ს.კ 56.20.45.001) განაპირა მხარეს, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-601092.5; Y-4597088.3; X-600942.3; Y-4597043.2; X-600985.5; Y-4597120.6; X-601061.2; Y-4597005.2; რეზერვუარის სარკის ზედაპირის ფართობი შეადგენს 10378 მ²-ს. რეზერვუარის

მოწყობამდე საპროექტო ტერიტორიის ზედაპირი დაფარული იყო ბალახოვანი საფარით და არ შეინიშნებოდა ბუჩქნარი და მერქნიანი ხეები. რეზერვუარის მოწყობის დროს განხორციელდა ნიადაგის მოხსნის სამუშაოები, რისთვისაც გამოყენებულ იქნა სატვირთო მანქანები და მძიმე ტექნიკა. სატრანსპორტო მოძრაობისათვის გამოყენებული იყო ტერიტორიამდე მისასვლელი არსებული გრუნტის გზები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ახალი გზების მოწყობა არ მომხდარა და არც ექსპლუატაციის ეტაპზე არ იგეგმება. მიწის ამოღება მოხდა ზედაპირიდან 3 მეტრის სიღრმეზე, საიდანაც 15-20 სმ წარმოდგენს მიწის ნაყოფიერ ფენას, ხოლო მოხსნილი არაჰუმუსოვანი ფენა გამოყენებული იქნა რეზერვუარის კედლის ასამაღლებლად. კერძოდ, რეზერვუარის მთელს პერიმეტრზე გაკეთდა დაახლოებით 2 მეტრამდე სიმაღლის მიწაყრილი, რის გამოც რეზერვუარის სიღრმე მიწაყრილის ხარჯზე შეადგენს 5 მეტრს. რეზერვუარში წყლის მაქსიმალურ დონედ გათვლილია 4.1 მეტრი. ანგარიშის თანახმად, სარწყავი წყლის სისუფთავისა და წყლის გადინების შესაძლო რისკის შემცირებისათვის რეზერვუარისთვის გათვალისწინებულ ფართობზე (რეზერვუარის ფსკერი) განხორციელდა მემბრანის ჩაფენა. მოსარწყავ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 56.20.45.001) მოეწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა. გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ჩატარებული სამუშაოების დეტალური აღწერა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, რეზერვუარის მოწყობის დროს, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გამოყენება განხორციელდა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების შესაბამისად. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მოხსნილი ნიადაგის დასაწყობების შესახებ ინფორმაცია, ასევე აღნიშნულია, რომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენება მოხდება რეკულტივაციის მიზნით ან გადავა სახელმწიფოს საკუთრებაში.

სამელიორაციო არხიდან წყალაღება მოხდება ელექტროენერგიაზე მომუშავე ტუმბოს საშუალებით, ტუმბო დამონტაჟდა ბეტონის პლატფორმაზე, სარწყავი არხიდან 15 მეტრის მოშორებით. ამასთან, რეზერვუარის გვერდით მოეწყო 2 მეტრი სიგრძის და 2 მეტრი სიგანის მქონე სატუმბი სადგური, რომელსაც სამელიორაციო არხიდან 530 მმ. დიამეტრის მქონე, ლითონის მილით მიეწოდება წყალი. ლითონის მილი განთავსდა 1,2 მეტრი სიღრმის ტრანშეაში, მილის სიგრძე 15 მეტრია. სატუმბი სადგურიდან 250 მმ-ის მქონე დიამეტრის მიწისზედა მილის საშუალებით მოხდა რეზერვუარისთვის წყლის მიწოდება.

ტუმბოს მაქსიმალური წარმადობა იქნება 250 მ³/სთ. წყლის დაგროვება გათვალისწინებულია 49000 მ³ მოცულობის რეზერვუარში, საიდანაც წყალი წვეთოვანი სარწყავი ქსელით მიეწოდება მოსარწყავ სავარგულებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საქმიანობის ფარგლებში 1 ჰექტარზე წყლის მოხმარებული მაქსიმალური მოცულობა წელიწადში შეადგენს 1545 კუბურ მეტრს. სარწყავი დღეების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 59 დღეს. როგორც აღინიშნა, სარწყავი არხიდან წყალაღების საკითხი შეთანხმებულია შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ (ხელშეკრულების საფუძველზე 2023 წლის 31 დეკემბრამდე), რაც წარმოდგენილია დამატებით და რომლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სარწყავი არხიდან წყლის აღება.

ექსპლუატაციის პერიოდში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება, ასევე, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნაკვეთის უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 9.5 კილომეტრით დაშორების გამო, საქმიანობის შედეგად ადგილი არ აქვს მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა არ მომხდარა, ხოლო წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების სათანადო მართვისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად გათვალისწინებული იყო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის ნარჩენების მართვისათვის მოხდა სპეციალური კონტეინერების განთავსება, რომელიც გატანილ იქნა შესაბამისი სამსახურის მიერ. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით შესაძლებელია გადაეცეს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებმა გავლენა არ იქონია გრუნტის წყლებზე და მის ხარისხზე, ხოლო წყალშემკრები რეზერვუარის მდ. ალაზნის კალაპოტიდან დაახლოებით 8 კილომეტრით დაშორების გამო მდინარის წყალდიდობის შემთხვევაში რეზერვუარის მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საშიშროება არ არსებობს. ასევე, საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში რაიმე სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ავარიული სიტუაციების წარმოქმნის რისკები და მოცემულია ავარიებზე რეაგირების გეგმა, აგრეთვე გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ასევე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ, განცხადება გამოქვეყნდა ქ. სიღნაღის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილზე. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა შესაბამის გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 11 ნოემბერს, ქ. სიღნაღის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საქმიანობის განმახორციელებელი - შპს „სიბიჯორჯიას“, საკონსულტაციო კომპანია „აგრო სოლუმენს“-ის და ქ. სიღნაღის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები. საჯარო განხილვის ფარგლებში, დამსწრე საზოგადოების მხრიდან პროექტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები, რომელთა დიდი ნაწილი ეხებოდა შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სამელიორაციო არხიდან წყლის აღებას, რაზეც საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან გაიცა პასუხები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტისა და ამავე დანართის მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო მაჩხაანში შპს „სიბიჯორჯიას“ სამელიორაციო სისტემისა და 49000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „სიბიჯორჯიამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/დამატებითი დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, ტექნოლოგიური ციკლის და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად;
4. შპს „სიბიჯორჯიამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სარწყავი არხიდან წყლის აღებამდე უზრუნველყოს წყალაღების საკითხის შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმება. ექსპლუატაცია განახორციელოს შესაბამისი შეთანხმების/ხელშეკრულების საფუძველზე;
5. შპს „სიბიჯორჯიამ“ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესრულება;
6. შპს „სიბიჯორჯიამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნიკურ დანადგარებზე მუდმივი კონტროლის წარმოება;
7. შპს „სიბიჯორჯიამ“ სამელიორაციო სისტემისა და 49000 მ³ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;
8. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
9. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სიბიჯორჯიას“;
10. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სიბიჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
11. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო